

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების
დგომის და საგზაო ნიშნების განთავსებისათვის ადგილების განმსაზღვრელი
დროებითი სამუშაო ჯგუფის

ოქმი N2

ქ. თელავი

2019 წლის 2 დეკემბერი

თავმჯდომარეობდა დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე: დავით ლაღანიძე

ესწრებოდნენ დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრები: არჩილ თხლაშიძე, გიორგი
ჩაბრაშვილი, არჩილ თვალაშვილი, ალექსი
ძულიაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, გოჩა
წაწალაშვილი.

აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი
ტარიელ გალახვარიძე, შ.ს.ს. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
კახეთის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან
საქმეთა ინსპექტორი დიმიტრი ხიზანიშვილი, თელავის
მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის,
მშენებლობის, არქიტექტურისა და მეგლთა დაცვის სამსახურის
ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი დავით ქსოვრელიშვილი, თელავის
მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების
მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი
დიმიტრი ზაქაიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საპარკინგე ადგილების
გამოყოფის შესახებ.

მომხს. დ. ლაღანიძე

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საპარკინგე ადგილების გამოყოფის შესახებ.

აზრი გამოთქვას: დავით ლაღანიძემ აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტში პარკირებასთან დაკავშირებით არის გარკვეული პრობლემები კერძოდ: აგრალური ბაზრის მოპირდაპირე მხარეს სადაც განთავსებულია ე.წ. თბილისის ტაქსები. აღნიშნულ ტერიტორიაზე ტაქსების გაჩერება საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა გადაადგილებას და უნდა გატარდეს შესაბამისი ზომები.

არჩილ თხლაშიძემ აგრეთვე აღნიშნა, რომ თელავის ცენტრალური ტერიტორია გადატვირთულია ტაქსებით რომელთა საჭიროებაც არ არის, ამიტომ მიზანშეწონილია თუ მოხდება მათი საპარკინგე ადგილების შემცირება.

გადაწყვიტეს: დეტალურად მოხდეს ადგილზე გასვლით საკითხის შესწავლა დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ, განხორციელდეს ქალაქში დარეგისტრირებული პარკირების შესწავლა მათზე არსებული ამკრძალავი ნიშნების მიზანშეწონილობის გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში დაისვას საკითხი ახალი საპარკინგე ადგილების გამოყოფის თაობაზე.

დროებითი სამუშაო

ჯგუფის თავმჯდომარე:



დავით ლაღანიძე